№ 63 მარტი 23, პარასკევი 1890 მარტი 23, პარასკევი № 63


გაზეთის ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდ ე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ტფილისი 22 მარტი,

დღეს აქამომდე მთელის ქვეყნის სალაპარაკო ისევ თ. ბისმარკის და ეხლა ჰერცოგ ლაუენბურგის სამსახურისაგან დათხოვნაა. არც უსაბუთოა, რომ დღეს ამდენს ჰლაპარაკობენ და იმედია კიდევ დიდხანს ილაპარაკებენ იმ დრომდე მაინც, ვიდრე საცა წვრილია, იქ არ გაწყდება. სამართლიანად იძახიან ზოგიერთი გაზეთები, რომ საფრანგეთის იმპერიის დამხობის შემდეგ ამისთანა დიდი ამბავი დღეს აქამომდე არ მომხდარაო. მოდით და ნუ ილაპარაკებთ, მოდით და მოიკალით წყურვილი და ნუ ჩაჰხედავთ გულში ამ დიდს ამბავს, რომელიც ხვალინდელს დღეს ზოგისათვის საშიშადა ჰხდის, ზოგისათვის საამებლად. ჯერ-კი არავითარი საბუთი არავის ხელთ არა აქვს, რომ ან შიშით მოილოდინოს ხვალინდელი დღე და ან ტკბილის იმედითა. საქმე ის არის, რომ 31 წლის იმპერატორმა ვილჰელმა თავიდამ მოიშორა «რკინის კანცლერი" თავის პაპისა და თვით მოისურვა დაიჭიროს სადავე გერმანიის შინაურ და საგარეო საქმეთა სამართავად.

ამ გარემოებაშია მიზეზი შიშისაც და უკეთესობის იმედისაც. იმპერატორი ვილჰელმი ჯერ გამოუცნობელი კაცია და ეხლა ჰცდილობენ გაუგონ რა ჰსურს და რა არა. ამ სურვილის გამოსაცნობლად, რა-კი სხვა გზა არ არის, ყველას ყურადღება მიქცეულია მასზე თუ—რა მიზეზით აღარ ინდომა იმპერატორმა გვერდ ჰყოლოდა იმისთანა გამოცდილი, სახელოვანი და სახელ-გათქმული კაცი, როგორიც ბისმარკია,—ეგ გერმანიის შემაერთებელი, გამადიდებელი და გამაძლიერებელი მამულიშვილი. რა თქმა უნდა, ზედ-მიწევნილად გამოცნობილი მიზეზი ცოტად თუ ბევრად ანიშნებს კაცს, თუ არ მას, რაცა ჰსურს იმპერატორს ვილჰელმს, იმას მაინც რაც არა ჰსურს და ესეც საკმაო საქმეა, როცა აშლილია წყურვილი რისამე ცნობისა და გაგებისა: ამ შემთხვევაში ერთს მხარეს საქმისას მაინც მიაყენებს კაცი ცოტა რამ შუქს, სხვა არა იყოს-რა.

ჩვენც რომ ამ კვალს ავყვეთ და ზოგიერთი ხმები, რასაც დღეს გაზეთები ავრცელებენ, ავწონ-დავწონოთ, შევიტყობთ, რომ ბისმარკის სამსახურიდამ გასვლა სულ არა ჰგავს ტკბილად გაყრას ორის მეგობრისას, როგორც გარედამა სჩანს. მართალია, ამბობენ ბისმარკს ვითომ ეთქვას, მე ძალიან მოხუცი ვარ იმპერატორის ახალგაზდობისათვის და იმპერატორი მეტად ახალგაზდაა ჩემის მოხუცებულობისათვისაო, მაგრამ მიზეზი განშორებისა აქ არ არის. ბისმარკი თვით-ნებ აკაცია, უნდა რომ ყველაფერი მის ხელთ იყოს და ყველაფერი მარტო მას ეკითხებოდეს. ხელმწიფემ იხელმწიფოს და მე-კი უნდა განვაგო სახელმწიფო საქმეებიო,—აი მისი მოძღვრება, მოკლედ და მოჭრით გამოთქმული. ხანგრძლივად მწყალობელმა ბედმა შეაჩვია იგი ამ თვით-ნებობას. საკვირველიც არ არის: საცა კოჭი ააგდო, ყველგან ალჩუ დაუჯდა მერე ისე, რომ მის საქმეთა დიდების წინაშე მტრებმაც პატივით თავი მოიხარეს. მისმა გაუტეხელმა მხნეობამ, მისმა ხასიათის სიმაგრემ, მისმა გაბედულმა უშიშრობამ რაგი ასეთის გამარჯვებით ბისმარკს ბურთი მოედნიდამ გაატანინა, ყველამ თითქო კისრად იდო მისი თვით-ნებობა და დაჰქდუმდა. დაჰქდუმდა გერმანიის ერი, რომლის პარლამენტი, ესე იგი, წარმომადგენლობა ერისა ამ ბოლოს ხანებამდე თითქმის ყურ-მოჭრილ ყმასავით თვალებში შეჰყურებდა ბისმარკს და საითაც ამას უნდოდა, იქით იქმოდა თავსა. დაჰქდუმდა თვით იმპერატორი ვილჰელმი I, პაპა ეხლანდელისა, ვითარცა დავალებული ბისმარკისაგან, რომელმაც დაქსაქსული გერმანია ერთად შეუკრიბა და იმპერატორის გვირგვინი დაადგა თავს, სახელისა და დიდების შარავანდედით მოსილი.

ეს თვით-ნება სახელმწიფო საქმეთა კაცი ვილჰელმ I-ს დროს თითქმის არავის ეკითხებოდა არც საშინაო, არც საგარეო საქმეში. უოფილა ზოგიერთი შემთხვევა, როცა თვით-ნებობა ბისმარკისა იმოდენად წრეს გადასულა, რომ განსვენებულ იმპერატორსაც-კი გული სტკენია, მაგრამ ერთი მუქარა ბისმარკისა, სამსახურიდამ გავალო, საკმაო ყოფილა, რომ ეხლანდელის იმპერატორის პაპას თავის გულის ტკენა თავისთვის შეენახა, ან დაევიწყა. უბისმარკოდ დაგდება გერმანიისა ისე ჰშინებია ვილჰელმს I-ს, რომ არამც თუ თავის იმპერატორობის დროს, სამერმისოდაც, როგორც გაზეთები ამბობენ, ფიცი ჩამოურთმევია, ჩემს შვილი-შვილსაც არ მოჰშორდეო და გერმანიის საქმეებს თავი არ დაანებოო. ამ ყოფაში ჩავარდნილი ბუნებითადაც თვით-ნება კაცი, რა თქმა უნდა, უფრო გააძლიერებდა ამ თვისებასა, უფრო გაიმტკიცებდა.

ამისთანა კაცს ბედმა ეხლა შეახვედრა ახალგაზდა იმპერატორი, რომელიც მოქმედებისა და საქმიანობისათვის თვითაც ჰქდულს და გადმოდის. ადრე თუ გვიან თვით-ნებობა სახელოვანის მოხუცისა უნდა შესჯახებოდა თვით - ნებობას ახალგაზდა იმპერატორისას, რომელსაც თვითონაც სწყურიან სახელის მოვნა, თვითონაც უნდა ქვეყანას დაანახვოს თავისი თავი და რომელიც, როგორც სჩანს, სულაც არ არის იმისთვის დაბადებული, რომ პაიკად იყოს სხვის ხელში. ეტყობა, თვით-ნებობა ბისმარკისა კარგა ხანია გულში ხაზად ჰქონია იმპერატორს ვილჰელმს. და მარტო მარჯვე რამ მიზეზი სდომებია ხელთ იგდოს, რომ ეგ ხაზი წაჰშალოს. სწორედ ამისთანა მიზეზად შემდეგს გვაუწყებენ გაზეთები.

ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ბოლოინდელი არჩევანები რეიხსტაგის დეპუტატებისა გერმანიაში გათავდა მით, რომ მთავრობას გერმანიისას უმეტესობა აღარ ეყოლება პარლამენტში. ბისმარკს არა ერთხელ შეჰხვედრია ამისთანა ამბავი, მაგრამ მისი ოსტატობა, მისი მოხერხება, მისი გაძვრენ-გამოძვრენა სხვა-და-სხვა დასთა შორის ისე მოიყვანდა ხოლმე საქმეს, რომ პარლამენტში უმეტესობას შეიდგენდა. ამ ხანადაც ესე მოუნდომებია ბისმარკს. ვინდჰორსტი დღეს იმისთანა დასის წარმომადგენელია, რომ თუ ეს დასი მიემხრო მთავრობას, უმეტესობა მთავრობისა—თვის უსათუოდ შესდგებოდა. ბისმარკმა მოიწვია თურმე ვინდჰორსტი, რომ გაუგოს-გამოუგოს-რდეს და როგორმე მოინადიროს და გადმოიბიროს. ვინდჰორსტი ვერ მოჰრიგებია და საქმე ამით გათავებულა. ხოლო შეუტყვია ეს ამბავი თუ არა იმპერატორს ვილჰელმს, მაშინვე მიჭრილა ბისმარკთან, რომელიც უკვე დასაძინებლად წოლილა ქვეშაგებში. მარდად ჩაუცვამს ტანისამოსი და გამოსულა იმ ოთახში, საცა ბძანებულა იმპერატორი. იმპერატორს პასუხი მოუკითხნია, უჩემოდ, ჩემდა დაუკითხავად რად მოიწვიე ვინდჰორსტი სალაპარაკოდაო. ბისმარკს უპასუხნია, ეგ ჩემი კერძო საქმეაო. მე ნება მაქვს თავის დროზე ვიცოდე ხოლმე, რა მოლაპარაკება აქვს ჩემს კანცლერს იმისთანა გავლენიან კაცთან, რო-

---

# ფელეტონი

## ხიდია ჩატეხილი

მოთხრობა

### XVI*)

ზამთარი იყო. ოთახის ერთს ბნელს კუთხეში მოხუცი თავ-ჩაკიდებული, დაღვრემილი იჯდა და თითქო ილცდა, რომ ამ ზამთარსმისთვის სიკვდილი მოჰქონდა, კანკალით ღმერთს ევედრებოდა:—სიცოცხლეს არა,—მარტო სოსეს ხმის გაგონებას და მერე სიკვდილს.

მთელს სახლში საშინელი დუმილი იყო. იმ დღიდგან, რაც ნიკო ტფილისიდგან საქმის გარჩევას შემდეგ მოვიდა, სახლის კედლებს ტირილისა, ოხვრისა და ჯავრის მეტი არა გაუგონია-რა. ის მხურვალე სიტყვა, რომელსაც წინად ნიკო თავისთან შეკრებილ ხალხს აგონებდა, დიდი ხანია მოისპო: ბატონი გაჯავრებულია, ბატონი ქეიფზე ვერ არის, ბატონი ავად არის; აი რას ამბობდნენ ყოველ დღე გლეხკაცები.

— შვილო, ლათო: უთხრა მოხუცმა, როდესაც ლათო იქ დაღვრემილი შევიდა: აბა ბატონს ჰკითხე საშობაოდ პყრობილებს არ მოალხენენ? არ ეტყვი დედა? გეშინიან, გააჯავრო?

— ვერა, პაპა, ვერ ვეტყვი; ხვალ კიდევ ქალაქს აპირებს წასვლას და რომ გავაჯავრო...

— ჰო, დედა, ნუ ეტყვი, არ გაგიჯავრდეს; ი კაცებს ელოდინებათ, იმათ ვკითხავ—ოთხი თვე იქ ისხდნენ, ელოდინებათ!.. ნუ მოგიწყენია, შვილო... ბატონი წავა და სოსეც მოვა; რამდენი დღე დარჩა კიდევ იმ საწყალს, შვილო?

— დღეიდგან ორი თვე და ცხრა დღეა.

— ორი თვე და ცხრა დღე—გაიმეორა მოხუცმა. ეს ცხრა დღეც მალე გაირბენს და ორი თვე-ღა დარჩება; ჰა? იქნება მივაღწიო, შვილო, ჰა? მივაღწევ... მივაღწევ, ღმერთი არ მომკლავს! ბატონმა, რად მიედიაროო? სოსეზე ხომ არა უთქვამს-რა?

— ის მე ეხლა სულ აღარ მელაპარაკება. მგონი ჩემზედ გამწყრალია! იმ დღეს მითხრა, ერთი მალე მოგშორდე შენაო! მერე კი ისევ დამიყვავა, რაკი ტირილი დავიწყე, გეხუმრებიო, მითხრა. იმიტომ მივდივარ, რომ ავად ვარო, უნდა ვიწამლოვო, მაგრამ მე როგორღაც გულში ჩამრჩა იმის სიტყვები... ოჰ, ღმერთო, ნეტა რას უშვებ ერთი ვიცოდე!.. ოღონდ კი ნუ შემიძულებს და თუნდ მომკლას!..

— ღმერთმა დაგიფაროს, შვილო: სიკვდილი შენგან შორს არის.

— ახლოა, პაპა, გული მეუბნება, რომ ახლოა.

— რა ამბავია, დათო? ჰკითხა ლათომ იმ დროს იქ შემოსულს გლეხკაცს.

— ბატონთან პატარა საქმე მაქვს: მოახსენე თუ მინახულებს. უთხრა დათომ.

— ვეტყვი, მაგრამ ვაი თუ გამიჯავრდეს! ეგ რა გიპირავს ხელში? ბატონისთვის არის? მაშ წავალ.

ნიკო ჩაფიქრებული საძარძელში იჯდა, როდესაც ლათო შევიდა კრძალვითა.

— ბატონო, დათო გახლავთ. ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი, თუ მინახულებსო.

ნიკომ მწყრალად და მრისხანედ შეჰხედა ლათოს და ზიზღით უთხრა:

— რომ არ მომასვენეთ?! ლამის შემჭამოთ!

— წავალ, ბატონო, ვეტყვი რომ თქვენ უქეიფოდა ბძანდებით...

— ეხლა რაღა დროსია? წინადვე უნდა მოგეფიქრა ეგა! შემოიყვანე, მაგრამ შენ შენად უთხარი დიდი ხანი ნუ დარჩება, არ შემიძლიან.

გლეხ-კაცი დიდხანს არ გაჩერებულა. იმისმა მცირე ხანს ყოფნამ-კი მაინც ძლიერ უსიამოვნოდ გაჰხადა ნიკო. საზოგადოდ ნიკოს თანდათან დასჩემდა ავადმყოფობა, სისუსტე. უფრო-კი გულის ტკივილს ამჩნევდა თავს და უნდოდა კარგად გაშინჯინებოდა ქალაქის ექიმებს. ვინ იცის, რა იყო ამისი მიზეზი. იქნება დედისაგანაც დაჰყვა: დედა ადრე გადაეცვალა ჰლექით. ან იქნება ათას-გვარის მღელვარების ბრალი იყო, რომელიც გამოსცადა ამ ყმაწვილმა კაცმა სოფელში ყოფნის დროს! იქნება თავის თავს თავადაც ებრძოდა, გრძნობა ჭკუას და ჭკუა გრძნობას ეურჩებოდა და ამან მოჰღალა, ამ ბრძოლამ მოჰქანცა ჯანითაცა და ღონითაც. იმის გულში ჩანერგილი იყო ბევრი სხვა გვარი გრძნობანი. ზოგის უვარგისობას, ქვენაობას ის თითონ გრძნობდა და ეომებოდა, უნდოდა გულშივე ჩაეკლა. ზოგს კი ვერ მოჰრეოდა. ზნე, ხასიათი, გემოვნება ისე სისხლს, შთამომავლობას არ ექვემდებარება, იმისგან არ მომდინარეობს, როგორც ყმაწვილობაში გაგონილისა და შეთვისებულებისაგან.

რა იყო, რა უთხრა იმ გლეხ-კაცმა ისეთი, რომ მას უკან ნიკო ველარ მოტრიალდა და უფრო და უფრო ფიცხდებოდა და მღელვარობდა. როგორც სიცხე მიცემულს კაცს ნიკოს თვალები ეწოდა, გული უშფოთავდა. რაღაც... რაღაც სტანჯავდა, რაღაც აწვებოდა გულზე. რა იყო? ამას კაცი ვერ მიხვდებოდა. იქნება დიდის ხნობიდგან

*) იხ. „ივერია" № 45, 46, 48, 49, 51, 52, 54, 55, 56, 57, 59, 61 და 62.

გორიც ვინდჰორსტიაო, უთქვამს იმპერატორს. ბისმარკს ამაზე უპასუხნია, რომ მე არ შემიძლიან ჩემი მოლაპარაკება დეპუტატებთან ვისიმე ზედამხედველობის ქვეშ ვამყოფოო და დაუმატებია, რომ თუ აქამომდე მე კიდევ სამსახურში ვარ, მარტო იმიტომ-რომ მე სიტყვა მივეც იმპერატორს ვილჰელმს I-ს ერთგულად, სულით და გულით ვემსახურო მის შვილის-შვილსაო და ადვილად დავანებებ თავს საქმეებს, თუ ჩემი სამსახურში ყოფნა ვერ გეხერხებათო.

ამ სიტყვების შემდეგ შეუძლებელი-ღა იყო ბისმარკის დარჩენა სამსახურში. რომ ისე ადვილი არ იყო ბისმარკისათვის სამსახურიდამ გასვლა, ეს იქიდამა სჩანს, რომ როცა დათხოვნის არზა გაუგზავნია იმპერატორისათვის, იმედი ჰქონებია, არ გამიმეტებს და უკანვე დამიბრუნებს არზასაო. ხოლო როცა ამის მაგიერ იმპერატორისაგან დათხოვნის ქაღალდი მისვლია, ისე შეწუხებულა, რომ ცრემლი მოჰქრევია თვალში.

თუ ეს გაზეთების მიერ ნაუწყები ამბავი მართალია, აშკარაა ბისმარკისა და იმპერატორის შუა ჭიას კარგა ხანია გაურბენია და იმპერატორი ბისმარკის თვით-ნებობისაგან აბეზარს მოსულა, თორემ ზემოდ ნაამბობი შემთხვევა არც ისეთი დიდი რამ არის, რომ იმპერატორი გაცხარებული მიშრილიყო ბისმარკთან და ან ბისმარკს ასეთი მკვახე სიტყვები ეხმარა. სჩანს თოფის წამალი ადრევე მოგროვილა მათ შორის, რომ ამ მცირე ნაპერწკალისაგან ერთიცა და მეორეც ასე აფეთქებულან.

კიდევ ვიტყვით, თუ ყოველივე ეს მართალია, მაშინ ბისმარკის სამსახურიდამ დათხოვნა მარტო ადგილის გადანაცვლებაა თვით-ნებობისა. დღეს აქამომდე თვით-ნებობა ბისმარკისა იყო, ამას იქით მის მაგიერ ჩასდგება თვით-ნებობა იმპერატორისა და რომელი უფრო კარგად დაუჯდება გერმანიასა და აქედამ ევროპას, ამას დრო გამოაჩენს.

## ახალი ამბავი

*** „გრ. ჩარკვიანისა და რ. ფანცხავას ქართული მაღაზია" გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მართალია ჩვენ ვაგროვებთ ლექსებს განსვენებულის ი. დავითაშვილისას და გვინდა კიდეც დავბეჭდოთ ცალკე წიგნად ეს ლექსები, მაგრამ ფიქრადაც არ მოგვსვლია წიგნის ბეჭდვას პოეტის მემკვიდრეთა ნება-დაურთველად შევუდგეთო.

*** მეორე ნაწილი თ. რ. ერისთავის ლექსებისა, რომელსაც ჰბეჭდავს ცალკე წიგნად „წერა-კითხვის საზოგადოება", სააღდგომოდ მზად იქნება და დაიგზავნება გასასყიდად.

*** ერთი ახალი ქართულ წიგნების მაღაზია კიდევ მოემატა ტფილისს. ეს ახალი, რიცხვით მესამე, მაღაზია გაუმართავს ბ-ნ ზ. ჭიჭინაძეს გოლოვინის პროსპექტზე ცირკის პირდაპირ. ამავე მაღაზიაში ისყიდება აგრეთვე ზოგიერთი ქართული და რუსული გაზეთები და რუსული წიგნებიცა.

*** ჩვენ მივიღეთ ფოთის რკინის გზის სადგურიდამ ბ-ნ კ. ხარაძისაგან იქ შეგროვილი 25 მან. წინამძღვრიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ. იყო დღემდე 1042 მ. 41 კაპ. შესდგა სულ 1067 მან. 41 კაპ.

*** ქუთაისი: ტომსონის ცირკს მოჰყვა მოჭიდავე გლდანელი და სხვა ფალავნები, რომელთაც რამდენჯერმე იჭიდავეს კიდეც. წვა სახლებისა ქუთაისში კვლავ გახშირდა. უფრო-კი დაზღვეულს სახლებს ეკიდება ცეცხლი.

*** ჩვენ გვწერენ იალტიდამ, რომ აქაურს ნიკიტის საბაღოსნო სკოლაში მოსწავლე ქართველებმა გვიან გავიგეთ სამწუხარო ამბავი ჩვენის ისტორიკოსის დ. ბაქრაძის გარდაცვალებისა. შევსწუხდით დიდად ამ ქართველთათვის დიდის დასაკლისის გამო. პანაშვიდი მაშინვე გარდავიხადეთ განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

*** ახალციხე: აქ ორჯელ იყო გამართული ქართული წარმოდგენა წინამძღვრიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ. ერთი წარმოდგენა გაიმართა დეკემბრის 17 ბ. ძ—შვილის თაოსნობით, ხოლო მეორე წელს, 11 თებერვალს ბ. ნ—შვილის თაოსნობით. პირველიდამ შემოვიდა 35 მან., მეორედამ 70 მან. ეს ფული უნდა თავის დროზედვე გამოეგზავნათ თქვენს რედაქციაში დანიშნულებისამებრ გარდასაცემად და, სასურველია, ვიცოდეთ, რა უნდა იყოს მიზეზი, რომ ეს ფული დღემდე არ მიგვიღიათ.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მიერ ამორჩეულს კომისიას აქვს ამ ჟამად განსახილველად პროექტი ბ-ნის ვარშამოვისა საკომისიონერო კანტორის დაარსებისა ზემოხსენებულ საზოგადოებასთან სხვა-და-სხვა სასარგებლო მცენარეთა თესლეულობის გასასყიდად და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად სამეურნეო საქმეთა შესახებ (გაზ. «ნოვ. ობოზ.»)

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ შემოდგომაზე მოვა ტფილისში რუსეთის კომპოზიტორი პეტრე ილიის-ძე ჩაიკოვსკი ფლორენციიდამ, სადაც ეხლა ახალ ოპერასა სწერს და მთელს შემოდგომას დარჩება აქაო.

*** იმავე გაზეთს მისვლია 26 მან., რომელიც შეუგროვებიათ ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილების მოხელეთა შორის წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ.

*** ფოთი: აქაურს საქალაქო სასწავლებელში შემოიღეს მუსიკის სწავლება და საქმე კარგადაც წავიდა. შარშანვე სკოლის ინსპექტორმა თავის თაოსნობით დაიბარა ასის თუმნის სამუსიკო საკრავნი რუსეთიდამ. საჭირო ფული ზოგი ხელის-მოწერით შეაგროვა საზოგადოებაში, ზოგიც იმ სამუსიკო და სალიტერატურო საღამოს შემოვიდა, რომელიც შარშანვე იყო გამართული. ახლა, წელს თითონ შეგირდებმაც გაიღეს ცოტაოდენი და ამ სახით ის ასი თუმანი ვალი თითქმის სულ გადაწყვეტილია. ვალიც გადაწყდა და ბევრმა შეგირდმაც, ვისაც ნიჭი და ხალისი ჰქონდა, მუსიკა ისწავლა და, ვინ იცის, კიდევ რამდენი ისწავლის (გაზ. „ნოვ. ობოზ.")

*** პოლიციის მეხუთე ნაწილში, შუა-ბაზარში, მარტის 21, ქ. ერივნის მცხოვრებელმა არშაკ ოსიფოვმა ტფილისის ვაჭარს ესტატე მიკირტუმოვს მოჰპარა რვა მანათად ღირებული ჩოხა და გადასცა გასასყიდად სპარსეთის ქვეშევრდომს ალექსი პოლოსოვს. პოლოსოვი შეიპყრეს ნაქურდალის ჩოხითურთ და სასამართლოს გადასცეს.

*** ამავე დღეს პოლიციის მეოთხე ნაწილში, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზე იპოვნეს ოთხის დღის დაბადებული მიგდებული ბავში. ბავში საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

*** 21 მარტს, პოლიციის მეხუთე ნაწილში, ღამის ცხრა საათზე, წინანდელს მრუდე ქუჩაზე, ხაიკალამოვის სახლში უეცრად გარდაიცვალა ტფილისის მცხოვრებელი საქო გაბრიამოვი. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

*** ტფილისის საგუბერნიო საპყრობილეში ამ ჟამად 549 პატიმარია. ამათში 9 აზნაურია, 13 დედაკაცი. სამხედრო სამკურნალოში 40 კაცია.

## მწვალებლობა ტფილისის გუბერნიაში

ტფილისის გუბერნიაში მწვალებლები ანუ რასკოლნიკები ჰცხოვრობენ სიღნაღის მაზრაში სულ 456 სული (მალაკნები და უარ-მყოფნი მღვდელობისა); გორის მაზრაში 61 სული მალაკანია. ტფილისისაში 80 სული. ახალქალაქისაში—6852 დუხობორი, ბორჩალოში მალაკანი 2060 სული, ბაპტისტი 42, მეშაფათენი—22 და დუხობორები 729 სული, სულ ბორჩალოში ითვლება 2853 სული.

ტფილისში მწვალებლები სხვა-და-სხვა მოძღვრებისანი 1120 სულია. სულ მთლად გუბერნიაში ითვლება 11,422 სული მწვალებელი.

დუხობორები გადმოსახლდნენ ჩვენს ქვეყანაში (ახალქალაქის მაზრა) მელიტოპოლის მაზრიდგან 1840 წელს. დასახლებულთ უცხო ქვეყანაში, უცხო ტომის მკვიდრთა შორის, დუხობორებმა იწყეს განცალკევებული ცხოვრება: არც მკვიდრთა ზნე-ჩვეულება მიიკარეს და არც თითონ ეტანებოდნენ იმათ ზნე-ჩვეულების გადასხვაფერებას. იმათ განცალკევებულ ცხოვრებას ის მოჰყვა, რომ დუხობორები გონებითა და ზნეობით ძალიან დაქვეითდნენ. ისინი ველარ განვითარდნენ, სწავლა-განათლებამ ფეხი ვერ მოიკიდა მათ შორის, თუმცა კი დუხობორები საშინლად გამდიდრდნენ და დიდი ქონება შეიძინეს, რადგან სიმშვიდე ხასიათისა, მთავრობის მორჩილება და შრომის სიყვარული იმათი ნიშნობლივი თვისებაა. დუხობორებმა ბევრი კეთილი საქმე დაიწყეს და მშვიდობიანად სცხოვრებდნენ 1860 წლამდის. მათ დაარსეს ობოლთა თავ-შესაფარი სახლი და მის შესანახად ბლომად აგროვებდნენ ფულს. ობოლთა გარდა თავ-შესაფარ სახლში ინახავდნენ უმწეო მოხუცთა და ქვრივთა; შეგროვილის ფულით აძლევდნენ შემწეობას ღარიბ და ღატაკ თავიანთ მოძმეებს. დააწესეს აგრეთვე სასოფლოდ მეურნეობის წარმოება. თავ-შესაფარ სახლს, სასოფლო ქონებას და ფულს განაგებდა ამორჩეული ზედამხედველი. 1860 წელს-კი დაირღვა მშვიდობა დუხობორთა შორის. უკანასკნელ ზედამხედველის ლუკერია კალმიკოვის სიკვდილის შემდეგ ამოარჩიეს ახალი ზედამხედველი, რომელიც მთელმა საზოგადოებამ ერთხმად არ შეიწყნარა. მოხდა მღელვარება და ახლად ამორჩეული ზედამხედველი ვერიგინი, მთავრობის განკარგულებით, იქმნა განძევებული. საერთო ქონება დუხობორებისა, რომელსაც განაგებდა ზედამხედველი, ასწერეს, და რადგან დუხობორებმა სიგელ-დავთრებით ვერ დაამტკიცეს, რომ ის ქონება სოფელს ეკუთვნოდა, სასამართლომ მიუსაჯა ლუკერია კალმიკოვის მემკვიდრეს, როგორც მისი კერძო ქონება. დუხობორები უფრო აღელდნენ და მთავრობამაც ვერიგინი და ხუთი იმისი მხურვალე მომხრე 1887 წელს განდევნა კავკასიიდამ. დუხობორები გაიყვნენ ორ დასად. ერთმა იწამა ვერიგინი, როგორც მოძღვარი და სულიერი მამათ-მთავარი და მეორე დასმა-კი არ შეიწყნარა, რის გამოც დუხობორები ერთ სალოცავში აღარ ლოცულობდნენ. მძულვარება ერთმანეთში ისე გაძლიერდა, რომ ვერიგინის თანამოზიარენი ცოლად აღარ ირთავდნენ თავიანთ

---

გულში ჩახვეული, მიმალული, საიდუმლო ფიქრები აწუხებდნენ. ის ფიქრები ეხლა კვლავ ბატონობას თხოულობდნენ და შემდეგ ამისა, ჩიოდნენ, დრტვინავდნენ, შფოთავდნენ, რაკი ალაგი არ ჰქონდათ ნიკოს გულში? თუ სხვა რამე ამბავი იყო მის გულში? არ ვიცი. მხოლოდ ნიკომ ბევრჯელ ინატრა ერთი მეგობარი, ერთი ამხანაგი, მუნჯი, ყრუ, უხელო, უფეხო, ბრმა. ერთის სიტყვით ერთი ისეთი სულიერი, ჭკვიანი არსება, რომლისთვისაც გაეგებინებინა თავის გულის მღელვარება, თავის გულის პასუხი.

— რა ვქნა? არ ვიცი. სთქვა ნიკომ თავის თავად თითქო სიცხეშია და ჰბოდავსო: ერთის წამის წინად მე ჩემის ფიქრებით გახარებული ტფილისში დავფრინავდი, იქ ყველა ტაშს მიკრავდა, სიყვარულით, პატივის ცემით მეგებებოდნენ. ჩემის სახელით მე თითონ ვსტკბებოდი! და უცბად იმ გლეხმა, იმისმა მოტანილმა ოქრომ ყველა ჩემი ფიქრები გაჰფანტა, მიმობნია, დამცირა და მეც მიწასთან გამასწორა! რა საზიზღარია კაცის ბუნება! რად ვესწრაფი იმ სახელს, იმ დიდებას, რომელიც ერთის წუთის შემდეგ ისევ გაჰქრება?! რად ვაფასებ მე იმ ერთ მუჭა კაცების აზრს, რომელთა შორის ყმაწვილობა გამიტარებია. რად მინდა შევიქნე ის, რაც, ჩემისავე აზრით, უპატიოსნობაა და უკაცრაობაა? თუ მტკიცე ვარ, თუ გული მერჩის, რატომ ისევ იმათთვის არა ვფიქრობ, ვინც მე ასეთის სიყვარულით მექცევა და მაღმერთებს. სოფელი? რად მავიწყდება, იმის სიყვარულს რად ვერიდები, იმის მეგობრობას რად გაურბივარ.

ოჰ, ღმერთო, თუ კაცი მართლა თავისთვის იბრძვის, თავისთვის ფორჩხალობს ამ სოფლად, რატომ ბრძოლისათვის მაინც წმინდა ღონის-ძიებას არ ირჩევს! ვისაც ვკიცხავდი, მეც ლამის იმ კაცად გარდავიქმნე. არა, გრძნობა ღონიერი ყოფილა გონებაზედ: შენ რაც გინდა ისა სთქვიო, მე ჩემს ძველს კვალს არ დავკარგავო, მე ისევ ძველს გზაზე გადავუხვევო.

ნიკომ თავი ჩაჰკიდა და ორივ ხელები თვალებზე მიიფარა.

— არა! მე კაცი ვარ! დაიღრიალა მან საშინლად. იმ ყვირილზე შემოვარდა ლათო შემკრთალი, შეშინებული. ჩემო ლათო, მიმართა მან აღელვებით, აღტაცებით. მომიტევე, რაც შეგცოდე! მე შენი უღირსი ქმარი ვიყავ! მე შენ არ მიყვარდი; შენი ცრემლები მაჯავრებდნენ: შენს სიყვარულს მიურბოდი... შენი ყველაფერი მძულდა! მე შენ გულ-გრილად აქ მიგატოვებდი ხოლმე და იქ-კი... და აი აგერ აქაც...

ნიკო პატარახანს შესდგა და სული მოიბრუნა.

— მე შენ არას დაგიმალავ, აი წერილი. საყვარლის წერილს წაგიკითხავ: „ნიკო, ჩემს გათხოვებას გაიგებდი..." გავიგე... „ეხლა ისიც გაიგე, რომ ქმარს გავეყარე". ქმარს უღალატა... „სიყვარული თავისუფალია, ჩემი გული ვერ დავიმორჩილე—მიზეზი შენა ხარ", სტყუის! სტყუის! „მე შენ მიყვარდი, მიყვარხარ და სიკვდილამდის მეყვარები—შემიბრალე"!.. არა, არ შევიბრალებ! არ შევიბრალებ. ლათომ თავი ველარ შეიმაგრა და წამოდუღდა.

— ლათო! ნუ სტირი!.. მე მძულს ისა, მე იმას არ მივეკარები; მე მარტო შენ მიყვარხარ!.. შენ გეალერსები... შენთან მოვკვდები... ოღონდ მომიტევე! აღარ გიყვარვარ განა?.. შევცოდე, არ შემინდობ?.. მომეხვიე... შენი ხმა გამაგონე...

— მე თითონ უღირსი ვარ! ქვითინით ეუბნებოდა ლათო, მე თითონ მომიტევე!.. უთხრა ლათომ და კისერზე მოეხვია: არ მინდა... არა... ოღონდ შენ იყავ ბედნიერი!.. ოღონდ ნუ შემიძულებ და ვინც გინდა გიყვარდეს. ვინც გინდა შეირთე. მე ბედნიერი ვიქნები! ოღონდ შენ გიყურო, ოღონდ ხანდისხან შენი ალერსი მეც მერგოს!.. მე ისევ შენი ლათო, შენი გოგო მინდა ვიყვე, და შენ გემსახურო... სხვა არაფერი... არაფერი...

ნიკომ მიიხუტა ლათო გულში და ხანგრძლივის კოცნით გააწყვეტინა ლაპარაკი. გულის ძგერამ და აღელვებამ ორთავენი დაასუსტა. ნიკომ თავის საწოლზე ჩამოსვა ლათო და თითონ გახურებული თავი მის გულზე მიაყრდნო.

— ნუღარ გამიხსენებ იმას, ჩემო ანგელოზო, ემუდარებოდა ნიკო. მე მარტო შენ მინდიხარ. შენი ღუღუნი გამაგონე... მკოცნე, ხელზე ნუ—პირისახეზე, მეალერსე... შენი სიყვარულით დამათვრე და შენს გულზე ბავშვსავით მიმაძინე... მითხარი რამე. ნუღარა სტირი... გამაგონე შენი ხმა!.. გიყვარვარ? ეგრე ნუ მეტყვი. მომეხვიე და ყურში წამჩურჩულე „მიყვარხარ-თქო". ჰო, ეგრე... ნუ გეშინიან!.. მაგრა მაკოცე... დამწვი!.. დამდაგე!.. დამახრჩე!.. ხმას არ გაგცემ... სულ მეყვარები... სამაგიეროდ რით გადაგიხადო, ჩემო ლათო? არ შეგიძულო?.. არა... არა... არ შეგიძულებ!.. ნურც შენ შემიძულებ, ბედნიერად ვიცხოვროთ... ერთად... ორ მტრედსავით... ერთად მოვკვდეთ... მოვკვდი... თავი—თავი... მიშველე... მიშ...

ლათომ საზარლად დაიწივლა, მის გულზე ნიკო გულ-შეწუხებული ესვენა. ის ჯერ შეშინებული წამოხტა და საწოლზე მისვენებულს ნიკოს დააჩერდა; მერე წივილ-კივილით გარედ გავარდა და რამდენსამე წამს მთელი სოფელი, ქალი თუ ვაჟი, შეწუხებული ნიკოს სახლს გარს ერტყა. ლათოს სიმწარით ყველა იწოდა. ფერწასული, უცრემლოდ, უსიტყვოდ იდ.

მოწინააღმდეგეთა. ქალებს შეღლი ჩამოუვარდათ თვით ოჯახებშიაც. ხშირად, თუ ქმარი ვერიგინის მომხრე იყო და ცოლი მოწინააღმდეგე, ან პირველი აგდებდა მეორეს, ან ცოლი თავის ნებით გარბოდა „ურწმუნო და უ'ჯულო“ ქმრისაგან.

ამ გვარმა შუღლმა შეარყია დუხობორების ქონებრივი კეთილდღეობა. ამის გამო მთავრობა ბევრს ეცადა 1888 წელს შეერიგებინა მოშუღლე დასნი, მაგრამ ვერას გახდა, რადგან განუვითარებელნი დასის მეთაურნი ფანატიკურად ალიარებენ თავიანთ რწმენას და არ ისმენენ მთავრობის დარიგებას. ასე რომ შეიძლება დუხობორები მალე გაიყვნენ ორ სარწმუნოებრივ დასად, და დაიბადოს მათ შორის სხვა ახალი მწვალებლობა.

ა. ფრონელი

---

### წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით ამასთანავე 25 მან., წინამძღვარიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ მოგროვილს ფონის რკინის გზის სადგურში და გთხოვთ აგრეთვე დაბეჭდოთ „ივერიაში“ სია შემომწირველთა: დ. დოდაშვილი 5 მან., ა. ბოკერია 2 მან., კნ. გ. ი. შარიქაძე 1 მან., მღ. ა. კვანტრიშვილი 1 მ.ნ., მთავარ დ. ს. ხარაძე 50 კაპ., ს. კიკნაძე 1 მან., დ. კიკნაძე 50 კაპ., ვ. გველესიანი 1 მან., ვ. ოსინსკი 1 მან., გ. რაზმაძე 50 კაპ., მ. ბირიუკოვი 50 კაპ., ე. ხარაძე 1 მან., პ. ცომაია 50 კაპ., დ. ბადაევი 1 მან., მ. ლომსაძე 50 კაპ., ყ. მაჭავარიშვილი 50 კაპ., ი. ფრუიძე 50 კაპ., დ. ფუტკარაძე 50 კაპ., ი. სამხარაძე 50 კაპ., რ. პაპიძე 50 კაპ., მ. თოდრია 50 კაპ., ტ. ოლლი 20 კაპ., ტ. თოფურია 20 კაპ., ს. ოთაროვი 20 კაპ., რ. ცომაია 50 კაპ., ი. ებანოიძე 1 მან., კ. ხარაძე 3 მან., 15 კაპ., სულ შესდგა ოც-და-ხუთი მანეთი და 25 კაპ., ფოსტის ხარჯი ხუთი შაური, დანარჩენი ოც-და ხუთი მანეთი გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

კირილე ხარაძე

---

### სიტყვა

**თქმული ლორდ რ ნდოლფ ჩერჩილის მიერ სამინისტროს წინააღმდეგ.**

თებერვლის გასულს ინგლისის პარლამენტის კრებაზედ არავინ დიდს საინტერესოს არ მოელოდდა, მაგრამ უცებ, სრულიად მოულოდნელად მოუთხოვნია ლაპარაკის ნება ლორდ ჩერჩილს, რომელიც სალისბერის დღევანდელს სამინისტროში ამას წინად სახაზინოს განცლერად იყო და რომელსაც კონსერვატორები, ანუ ტორიები თავიანთ ამომავალს მზეს ეძახდნენ. მოუთხოვნია ნება და ულაპარაკნია დიდის გულ-მხურვალებით, დალაგებულის საბუთიანობით სწორედ იმათ წინააღმდეგ, ვისი მომხრეც იყო დღემდე და ვისაც ჩერჩილი თავიანთ თვალის ჩინი ეგონათ. მოგეხსენებათ, რომ სალისბერის სამინისტრომ დანიშნა ცალკე კომისია პარნელისა და „ტაიმსის“ საქმის განსახილველად. ისიც მოგეხსენებათ, რა იყო მიზეზი ამ საქმისა და რა ოინები გამოაშკარავდა გაზ. „ტაიმსისა“ და საზოგადოდ კონსერვატორების პარნელის მოსათხრელად და სახელის გასატეხად. ლორდ ჩერჩილი სწორედ ამ საქმეს შეეხო სმიტის მიერ წარმოდგენილის რეზოლიუციის გამო და წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელმაც გააოცა ლიბერალები, მთელი დასი ვიგებისა. გააოცა იმიტომ-რომ არ მოელოდა, თუ ასეთის გრგვინვითა და ქუხილით ილაპარაკებდა ახალგაზდა ტორი ტორიების გასამტყუნებლად. „ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვა თვით უმთავრესის საგნის შესახებაო,—ასე დაიწყო ჩერჩილმა თავისი ლაპარაკი.—უნდა ვსთქვა ეხლავე, ვიდრე იმ საგანს ათასი რამე მიემატებოდეს, ვიდრე გაიბმოდეს ბარდები დამატებათა, შენიშვნათა და შეცვლა-შეკეთებისა, რომელთა შორისაც ზოგი ფრიად საჭიროა და ჭკვიანურიც და ზოგს-კი ნიშან-წყალიც არ აცხვია ჭკვიანობისა (ისმის სიცილი). იქნება პალატამ არ უწყის, რომ იმ საქციელს, რომელიც უნდა დავამტკიცოთ ეხლა ჩვენის მოწონებით, მწუხარებითა და შიშით ვადევნებდი თვალყურს იმ თავიდამვე, როცა დაიწყო 1888 წელს დღევანდლამდე და რომ ეს მწუხარება და შიში უფრო მემატებოდა, რა-კი თვით საქმეც თანდათან მეტის სიცხადით გამოირკვა. პირველი ლორდი სახაზინოსი გვირჩევს შევიწყნაროთ იმის რეზოლიუცია და მით მოვიწონოთ ის მოქმედება, რომლის დასაწყისიც იყო დამტკიცება კანონისა განსაკუთრებულის კომისიის შესახებ. მაგრამ, ბატონო, ვიდრე მოვიწონებდეთ თქვენს რეზოლიუციას, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გავსინჯო და პალატასაც ვსთხოვ გასინჯოს ის საქციელი, რის მოწონებასაც თქვენა გვთხოვთ. თავიდამვე ვიწყებ და ვამტკიცებ, რომ იგი მოქმედება სრულიად და საესებით გაწბილებულია და გაუკეთურებული, გაწბილებულია და გაუკეთურებული უიმედოდ, სამზღვარ დაუდებლად მით, რომ არა—საკონსტიტუციო თვისება აქვს (ისმის ტაშის ცემა ოპოზიციისა). თუ ეს მართალია, და რომ მართალია, იმედი მაქვს ისეთი საბუთებიც მოვიყვანო, რომ მგონია ადვილი არ იყოს იმათი გაბათილება, მაშინ საჭიროა დიდი ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას აქეთა მხარეზე მსხდომარე ჯენტლმენებმა (სამინისტროს მომხრე დასი), რომელთაც ამ ბოლოს დროს მიითვისეს, იქნება სამართლიანადაც, ტიტული საკონსტიტუციო დასისა“.

ნება მიბოძეთ,—სთქვა ორატორმა,—მოკლედ მოგახსენოთ, როგორც იყო საქმე პირველშივე და მერე ასე განაგრძო:

1888 წელს მთავრობამ გადასწყვიტა, რომ უსათუოდ საჭიროა გამოვიძიოთ, მართალია თუ არა, რასაც ცილად სწამებენ ზოგიერთს წევრს პარლამენტისასო. ამისათვის მთავრობამვე გადასწყვიტა, ნუ მივმართავთ დღევანდელს ჩვენს სასამართლოებსაო. მთავრობას უნდა ეფიქრნა, რომ რასაც ბრალად სდებდნენ და ცილად სწამებდნენ „ტაიმსსაც“ და პარნელსაც და რაც გამოითქვა კიდეც, თვით ის იყო ცხადი საბუთი ბრალდებისა (ყური უგდეთ, ყური უგდეთ!) მე ვამტკიცებ, რომ რაკი მთავრობას ხელში აქვს ცხადი საბუთი ვისიმე ბრალდებისა სისხლის საქმეში, იგი მთავრობა ვალდებულია სამართალში მისცეს ბრალდებულნი ჩვეულებრივის წესით (ისმის ტაშის-ცემა მთავრობის მოწინააღმდეგე დასისა). ხოლო თუ იყო რამე საბაბი ბრალდებისა, უფრო ცხადი საბუთი უნდა ჰქონოდა მთავრობას, რომ განსაკუთრებული სასამართლო დაენიშნა ბრალდებულთა გასაბჭობად. თუ არ იყო ასეთი საბუთი საზოგადოდ, მაშ არც მთავრობას ჰქონდა ნება განსაკუთრებული სასამართლო დაენიშნ (ისმის კვლავ ტაშის-ცემა მთავრობის მოწ ნააღმდეგე დას ს.). შემდეგ რა მოხდა? მოხდა ის, რომ პირველივე ნაბიჯი ბრიტანიის იმ მთავრობისა, რომელსაც თავი მოსწო'ს, რომ საკონსტიტუციო მთავრობა ვარო, პირველი ნაბიჯი ამ მთავრობისა იყო უარ-ყოფა ჩვენის ქვეყნის ჩვეულებრივ სასამართლოებისა. მერე ისიც მაშინ, როცა ბრალი ედებოდა არა მარტო ზოგიერთს კერძო პ'ცს, არამედ იმათაც, ვინც მთავრობის მოწინააღმდეგე იყო პოლიტიკაში (ტაშის-ცემა ოპოზიციისა). მეორე ნაბიჯი რაღა იყო? მეორე ნაბიჯი ის იყო, რომ მთავრობამ გადასწყვიტა, პარლამენტის ნებადართვით, დავაარსოთ განსაკუთრებული კომისიაო. კომისიაში მოჰყვა სამი მოსამართლე, რომელთაც დავევალათ, შეესრულებინათ მოვალეობა მოსამართლეებისაცა და ნაფიც მსაჯულებისაც სისხლის სამართლის საქმეში. (ტაშ ს ცემა ოპოზიციისა). რასა ნიშნავს განა ესა? ეს იმასა ნიშნავს, რომ მთავრობამ მისცა სამართალში თავისი მოწინააღმდეგენი პოლიტიკაში და იმის უარი-კი უთხრა, რა მომხრეობას და მფარველობასაც უწევს ბრალდებულს სასამართლო ნაფიც მსაჯულებისა (ტაშის ცემა ოპოზიციისა). დიდს მნიშვნელობას ვაძლევ და არც შემაძლიან არ მივცე დიდი მნიშვნელობა იმ გარემოებას, რომ ყველა ეს მოქმედება ბრიტანიის მთავრობისა მიმართული იყო მის მტერთა წინააღმდეგ პოლიტიკაში (ორატორს ტაშს უკვრენ მოწინააღმდეგენი მთავრობისა). პალატა მიხვდება და მოპირისპირენიც უნდა მიხვდნენ, რომ რასაც ერთი მთავრობა უზამს კანონიერად თავის მტერთ პოლიტიკაში, მეორე მთავრობასაც შეუძლიან სამაგიერო გადაუხადოს იმავე კანონიერებითა. (ტაშის-ცემა მთავრობის მოწინააღმდეგეთა). რა იყო მესამე ნაბიჯი? მესამე ნაბიჯი ის იყო, რომ მთავრობამ, აღმასრულებელმა ორგანომ, მისცა რა სამართალში თავისი მტერნი, თვითვე დანიშნა მათთვის მოსამართლენი (ტაშის ცემა ოპოზიციისა). ბატონო, ჩვენში სულ უბრალო დამნაშავეს, რომელსაც-კი სისხლის საქმე ჰბრალდება, ხმა აქვს და დიდი ხმაცა აქვს ნაფიცთა მსაჯულთა არჩევაში; იმასვე აქვს დიდი უფლება უარ-ჰყოს მსაჯული, თუ რაიმე საბუთი აქვს იმის წინააღმდეგ. ბრიტანიის მთავრობამ-კი პარნელის საქმეში არავითარი ხმა არ მისცა ბრალდებულთ ნაფიცთა მსაჯულთა არჩევანისა და არც არავითარი უფლება არ მოუსწონის მსაჯულის უარ ყოფისა (ტაშის ცემა მთავრობის მოწინააღმდეგეთა). იქნება მიპასუხოთ, რომ აქ ხომ განსამართლება არა ჰქონიათ სასხეში, შუა კაცობა უნდოდათ მორიგებისაო. მაგრამ მე თქვენა გკითხავთ, გაგიგონიათ როდისმე შუაკაცობით მორიგების ისტორიაში ისეთი ამბავი, რომ ერთს მხარეს არავითარი ხმა არა ჰქონდეს შუაკაცის არჩევანისა? (ისმის ტაშის ცემა ოპოზიციისა). არა, ბატონო, მესამე ნაბიჯი ის იყო, რომ სამინისტრომ, რომელსაც უმეტესობა ჰყავს პარლამენტში, აიღო და თვითონ დანიშნა, ვინც ჰნებავდა მოსამართლეებად სისხლის სამართლის საქმის განსაკითხველად. (დიდი ტაშის ცემა ოპოზიციის მხრით). ბოლოს მეოთხე ნაბიჯიც გადასდგა მთავრობამ. ეს მეოთხე სამს წინანდელს მოჰყვა. აი რა: რა კი მთავრობამ თავისი აზრი შეაწყნარებინა პალატას, მით თავის მოწინააღმდეგეებს პოლიტიკაში გადაახდევინა დიდი გადასახადი, რომელიც, ჩემის გამოანგარიშებით, 400,000 მანათამდე უნდა იყოს“.

შემდეგ ჩერჩილმა მოკლედ გაიმეორა თავისი ნათქვამი და განაგრძო ოპოზიციის აღტაცებულ ტაშის კვრით დაჯილდოვებულმა: „გაბედვით ვამტკიცებ და რომელიც უნდა იურისტი გამოვიდეს და გამამტყუნოს, რომ რაც ზემოდ მთავრობის მოქმედება დავასახელე, ვერაფერს იმის მზგავსს, ვერაფერს იმისთანას ვერ მიპოვით ინგლისის ისტორიაში (ტაშს უკრავს ოპოზ ცია). ამ გვარად ჩვენ გვირჩევენ შევიწყნაროთ წინადადება სახაზინოს პირველის ლორდისა და მოვიწონოთ ისეთი საქციელი, რომელიც უმაგალითოც არის და არც საკონსტიტუციოა“. შემდეგ ჩერჩილმა ილაპარაკა, რა გზით სცდილობდა მთავრობა ასეთის საქციელის ჩადენას და სთქვა, რომ თავის განზრახვის შესასრულებლად მთავრობა წამ და უწყუმ სპობდა კამათობასაო. ეს გარემოება მით უფრო საოცარია, რომ თვით ტორიები ამისთანა საქციელის დიდი წინააღმდეგნი იყვნენ ჯერ ისევ 1882 წელსაო. ეს საქციელი ისეთი საქციელია, რომელსაც სიხარულით მიჰმართავდნენ ტიუდორები და მათი მოსამართლენიო. ერთის სიტყვით, ასეთი საქციელი ელისაბედის დროინ-

---

გა დაჩოქილი ნიკოს თავს და გამოუთქმელ მწუხარებით მის ოდნავ მოსულიერებულს სახეს ჩასჩერებოდა.

როცა ექიმი მოვიდა ახლო დაბიდამ, ნიკო უკვე მოსულიერდა და მის გარს მყოფს გლეხკაცებს ტკბილად უღიმოდა. ლათოს ერთი ხელი ნიკოს შუბლზე ედო და მეორე—ნიკოს ეჭირა და ჰკოცნიდა.

ექიმმა მალე გასინჯა და შეატყო, რომ სუნთქვა ვერა ჰქონდა წესიერი. ეჭვი არ იყო, რომ ჭლექის ნიშნები ემჩნეოდა. ექიმმა ურჩია ტფილისს წასვლა: იქ „სპეციალისტები“ ჰნახე და იმათ მოელაპარაკე, რჩევა ჰკითხეო. რაც უფრო მალე შეუდგები წამლობას, ისა სჯობიაო.

— გაიგონე, ლათო, ექიმმა რა მითხრა? ჰკითხა ნიკომ ექიმის წასვლის უმალ. ღმერთმა უშველოს, გამამხიარულა, თავის ტკივილმაც გამიარა. აბა ეხლა, ჩემო ლათო, რასაც შენ მირჩევ, იმას ავასრულებ.

—ექიმს უნდა დაუჯეროთ, ბატონო, უთხრა ცრემლ-მორეულმა ლათომ.

— ბატონს ნუ მიძახი, ჩემო სიცოცხლე, წეღან ძლიერ მიამა, რომ შინაურულად მელაპარაკებოდი. წეღან გიყვარდი და ეხლა ალარ გიყვარვარ? მაშ რატომ ისევ ჩემ ნიკოს არ მიძახი. ნუ სტირი, ნუ დამალონებ. ნუ გეშინიან: მე ამ ავადმყოფობით არა მიშავს რა, ხომ გაიგონე, დედა შენზე მეტს იცოცხლებო.

მოდი ახლო, დღეს ჩემთან დაიძინე. მტრედისავით მიღუღუნე.. აბა მითხარი „ჩემო ნიკო მიყვარხართქო.“ ჰო, ყოველთვის ეგრე მითხარი ხოლმე.

— ჩემო ნიკო, უთხრა მორცხვად და სიყვარულით ლათომ, წადი, მაშ ექიმები ინახულე და ისევ მალე დაბრუნდი.

— წავიდე?.. მერე.. კარგი, წავალ. შენ სურვილს ავასრულებ. როდის წავიდე?

— თუნდ ხვალ იყოს, თუ შესძლებ. აკი გითხრა ექიმმა, ჩქარა უწამლე შენს თავსაო!.

— კარგი, ჩემო გერიტო, ხვალ წავალ და ორის დღის შემდეგ ისევ დავბრუნდები. თუ გინდა შენც წამომყევი.

— რადა?

-— რა ვიცი, იქნება შენ არა გჯერა, რომ მალე დავბრუნდები! მკოცნი? გჯერა?.. მიჯერებ?.. მენდობი? მენდე, ჩემო ლათო, მე შენს მეტი არავინა მყავს: შენა ხარ მარტო ჩემი პატრონიც და მეგობარიცა.

— სოსესაც ხომ ჰნ ხავ? უთხარი, რომ მე ასე ბედნიერი ვარ?...

— ბედნიერი ხარ!.. ვეტყვი.. ვეტყვი.. წეღანდელ ოქროებსაც იმას წაუღებ, იმისია ეს ფულები...

— თვალებს რად ჰხუჭავ, ჩემო ნიკო, გეძინება?

— ჰო, მეძინება.. ბედნიერი იყავი.. იყავი...

დიდს ხანს დასცქეროდა ლათო მძინარე ნიკოს და მთელს მის არსებას სიყვარულის ცეცხლი ეკიდებოდა. რაც უფრო მეტს უცქეროდა, უფრო და უფრო უნდოდა ცქერა. ლათომ ხელების კანკალით გადმოიშალა თავის გძელი თმა, ნიკოს სახეს გარ შემო წამოუხუხულავა, ორთავ ხელები თმას შემოულაგა ძირს, თითქო არ უნდოდა, რომ ნიკოს სახეს სინათლეც-კი მიჰკარებოდა და ამ ნაირად ანგელოზსავით ჰაერში ზედ გადაყუდებული, თვალებ მიბნედილი, მძინარე ნიკოს თრთოლვით დასჩურჩულებდა: მაცოცხლე... იცოცხლე.. ჩემს გულს შენ ჩაგიდგავ.. თავს შემოგევლები... მტლედ დაგედები... მარტო ჩემი ხარ... სხვა არავისი... ღმერთო, რა ნელა სუნთქავ?. რა ცივად მხვდება გულზე ეგ შენი სუნთქმა... უნდა გამაგრილო?.. გამაგრილე.:

ლათომ გადიწია თვისი გული, რომელიც თეთრად ჰფეთქავდა და ადიოდ-ჩამოდიოდა სიყვარულის ცეცხლით ალეზებული და მიუახლოვა ნიკოს, რომ უფრო კარგად ეგრძნო მისი სუნთქმა. ლათო შეიპყრო ვნებათ ღელვამ და გულს ცეცხლი მოეკიდა.

— ნიკო!.. დაიწვი.. მომხედე!. წასჩურჩულა მან კოცნით.

ნიკომ თვალი გაახილა და, რა დაინახა ვნებით-სავსე ლათოს სახე, გულში ჩაიკრა მხურვალედ. მხოლოდ დილის რაჟრაჟმა გამოაფხიზლა ეშხით დამთვრალნი და დაბნედილნი.

რა ბედნიერი დილა იყო ლათოსთვის ეს დილა! წინანდელს შიშს და კრძალვას დღეს მის გულში ალაგი აღარა ჰქონდა. სიყვარულმა გასწყვიტა ჯაჭვი ძველის ერთმანერთობისა და მორჩილება-კრძალულების. ლათო მხიარული იყო და ფარვანასავით გარს ევლებოდა თავის ნიკოს.

გავიდა რამდენიმე დღე. კაბრიოლეტი მზად იდგა ნიკოს წასაყვანად. ნიკომ გამოსათხოვრად ლათოს ხელი გაუწოდა, ლათო სიყვარულით გულში მიეკრა და მის მოღიმარე სახეზე ბედნიერების ცრემლმა დენა დაიწყო.

— ხომ მალე მოხვალ, ჩემო ნიკო, უთხრა ცრემლ მორეულმა ლათომ ღიმილით და ნიკომ რომ კაბრიოლეტში ფეხი შესდგა, მორცხვად ხელი მოსწია და წასჩურჩულა: „დღეს მეორედ ვიგრძენ. ეხლა სულ-დგმულია. გაინძრა კიდეც“.

— მამას თუ ეთხოვებოდა, უთხრა ნიკომ და ალერსით შუბლზე აკოცა ლათოს.

ლათომ თვალებზე ხელი მიიფარა. „არ დამივიწყო, არ დაივიწყო“. წაუჩურჩულა ნიკოს და ტირილით სახლში შევარდა.

პალიკო ყიფიანი

(შემდეგი იქნება

დელი საქციელიაო. (იხმის ტაშის კვრა ოპოზიციისა). ეგ საქციელი ღვიძლი შვილია ძალ-მომრეობისა, მტარვალობისა იმათ შესახებ, ვინც მოწინააღმდეგენი არიან იმ ხანად გაბატონებულის მთავრობისა პოლიტიკაში. მაგისთანა საქციელს ებრძოდა პარლამენტი საუკუნოებით და გვეგონა, რომ ჩვენს კურთხეულ დროს უკვე დაძლეული და დათრგუნვილიაო... ახლა-კი სხვასა ვხედავთ. მაგრამ სამაგიეროს გადამხდელი ღმერთი კვალში უდგას იმ მთავრობას, რომელიც ხმარობს არა-საკონსტიტუციო ღონისძიებას. მაინც რა მოჰყვა სა კონსტიტუციო საქმიანობის მაგ ნაირ გადაგვარებას? რა იყო მაგ გადაგვარების ერთად-ერთი ნაყოფი? მისი ნაყოფი იყო პიგოტი. (ისმის გრიალი ტაშისა მოწინააღმდეგეთა მხრიდამ). რა ჰშობა აქლემმა?—რწყილი, არარაობა, ფესთა მტვერი, სალასანა—პიგოტი! რა იყო ნაყოფი მთელის თქვენის მომხრეებისა, მთელის თქვენის ხელოვნებისა? პიგოტი, პიგოტი, პიგოტი! (გრიალი ტაშის ცემისა მოწინააღმდეგეთა შორის). აი ესა გხვდათ სამაგიეროდ და დარწმუნებულიცა ვარ ასეთი სამაგიერო არ ასცდება ბრიტანიის მთავრობას უოველთვის, როცა კი კონსტიტუციის გზას გადუხვევს“.

◆◆

## წვრილი ამბები

„New-Jork-Heralb“-ის კორრესპონდენტი დეპეშით იუწყება, რომ ცენტრს განზრახვა აქვს რეიხსტაგში იმპერატორის მხარე დაიჭიროსო.

— ამ დღეებში სოციალისტების კომიტეტს ბერლინში გამოუცხადებია პროკლამაცია და მთელის გერმანიის მუშებს ურჩევს, პირველ მაისს მანიფესტაცია მოახდინეთო და მოითხოვეთ, რომ დღეში 8 საათზედ მეტი არ გამუშავონო. ამ ნაირს მოთხოვნილების ანუ პეტიციისთვის მუშებს ხელს აწერინებენ და კომიტეტი დარწმუნებულია, ორ მილიონზე მეტი იქნება ხელის-მომწერელიო.

— ლვოვში ურიცხვ-მუშათა კრებას გადუწყვეტია, მთელს გალიციაში მანიფესტაციები მოვახდინოთო. გადაწყვეტილ იქმნა აგრეთვე, რომ 1 მაისს ლასსალის საფლავი გვირგვინით შევამკოთო. ზოგიერთებმა კრებას წარუდგინეს თავისი აზრი, რომ იმპერატორს ვილჰელმს მადლობის ადრესი გავუგზავნოთო, მაგრამ კრებამ უარი სთქვა.

— პარიჟში „Salle Favier“-ში შეკრებულიყო ანარქისტების მიტინგი და ლუიზა მიშელს წარმოუთქვა სიტყვა, რომ ბერლინის კონფერენცია მუშათა ბედის განსაკარგელად-კი არ არის შეკრებილი, არამედ ეს მთელის ევროპის ბურჟუაზიისა და მეფეთა კავშირია პროლეტარიატის წინააღმდეგო.

— ლონდონელი გაზეთები იუწყებიან, პარნელი ქვედა პალატას მოსთხოვს, რომ ცალკე კომისია დაინიშნოს იმის გამოსაძიებლად, თუ რას სჩადიოდა სამინისტრო, როცა გაზ. „Times“ ი საშინელ ბრალსა მდებდა და ყალბის წერილების შემწეობით ცილსა მსწამებდაო. ამბობენ, ამ საქმეში გლადსტონიც დაეხმარება პარნელსო.

◆◆

## დეპეშა

21 მარტი

პეტერბურგი. პეტროვსკისა და რაზუმოვსკის სამეურნეო აკადემიის სტუდენტები განთავისუფლებულნი არიან სამხედრო წურთვნისათვის მოწვევისაგან, იმ წესით, როგორადაც სხვა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები.

ლონდონი. ბრიტანიის მმართებლობის რჩევით ხონთქარმა გადასწყვიტა ცვლილებათა შემოღება სომხეთში. სწადიან შეადგინოს ჟანდარმების პატარ პატარა რაზმები, რომელშიაც ნახევარი აფიცრობა უნდა იყოს ქრისტიანები; ქრისტიანეთაგან უნდა იყვნენ აგრეთვე ვიცე-გუბერნატორებიცა.

პეტერბურგის ბირჟა, 20 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 7 35 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 146 37 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 230 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 216 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . | 217 1/2 | — „ | 215 3/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

—

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ. 1890 წლის ზედნადებია—17.

მარტი 31 დღით არის

23 დღე პარასკევი. ქართველ. წმინდისა ლირსისა მოწამისა ნიკონისა. კათოლ. წმ. ეკატერინე პელაგიასი და ანასი. სომეხ. 40 დღე დიდ-მარხვისა. ტფილისში დაარსდა საქალებო ინსტიტუტი, 1840 წ. მზე ამოდის 5—37, ჩადის 6—30. ჭეშმარიტი შუადღე 12—3. მთვარე 15 დღისაა.

24 დღე შაბათი. ქართველ. ლირსისა ზაქარიასი. წმ შორის მამისა არტემისა თესალონიკელ ეპისკოპოსისა. კათოლ. წმ. მარკოზისა, ტიმოთესი და პალმირისა. სომეხ. 14 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—36, ჩადის 6—31. ჭეშმარიტი შუადღე 12—3. მთვარე 16 დღისაა.

25 დღე კვირა. ქართველ. ხარება ყოვლად წმინდისა ღვთის-მშობლისა. ხსნილი თევზით. კათოლ. ხარება ყოვლად წმინდისა ღვთის-მშობლისა. სომეხ. ხარება. 42 დღე დიდ-მარხვისა. (წახკაზარდ). დაბადება მ. უ. ქსენია ალექსანდრეს ასულისა, 1875 წ. მიხეილ სიმონისძის ვორონცოვის მობრძანება, 1845 წ. ვორონცოვის ძეგლის დადგმა 1867 წ. მზე ამოდის 5—34, ჩადის 6—32. ჭეშმარიტი შუადღე 12—2. მთვარე 17 დღისაა.

—

## განცხადებანი

—

გამოვიდა და ისყიდება

„უბის წიგნი 1890 წლისათვის“

შედგენილი და გამოცემული

ვალ. გუნიას მიერ

ფასი 40 კაპ.

## ტყავის ქარხანა

გ. ადელხანოვისა და ამხ.

ვსთხოვთ მსურველთ აილოს იჯარით და მოგვიტანოს ქერქი მუხისა და ტირიფისა. ვისაც ჰსურს ამ იჯარის აღება, მიჰმართოს ჩვენს უმთავრესს კანტორას: ტფილისს, ერევნის გზა ტკეცილზედ, მნაცაკანოვის ხიდის ყურთან, საკუთარს სახლში.

(3—3)

## სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—49)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებზე შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იავნანამ რა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . . | „ | 10 |
| კედლის კალენდარი ჩარკვიანისა . . . . . | „ | 40 |
| სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული . . . . . . | „ | 10 |
| საყმაწვილო ამბები თ. ასათიანისა, ფასი . . | „ | 10 |
| საერთო კედლის კალენდარი, 1890 წ. ექ. ხელაძის გამოცემა . . . | | 52 |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერი პირველი წიგნი . . . . | „ | 30 |
| უბის წიგნი 1890 წ. ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული. . . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი 1890 წ. მისივე . . . | „ | 50 |
| ძმა ძმის მტერი მოთხრობა თარგმანი ა. წითლიძისა . | „ | 10 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . . | „ | 55 |
| თვით მასწავლებელი ბიაშვილისა . . . . | „ | 45 |

—

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

Доз. ценз. Тифлисъ, 22-го Мартъ 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Меликъ д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი. ილია ჭავჭავაძე